სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 24 იანვარს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ბრეგა და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი №61485/08*

აპლიკანტები არიან მოლდოვას მოქალაქეები. ისინი არიან ჩიშინაუში დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰაიდ-პარკის“ წევრები, რომელიც ლობირებს სიტყვის თავისუფლებას, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილსა და მე-11 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან, რომ ისინი დააკავეს საპროტესტო აქციებისას, რომლებსაც ისინი მართავდნენ დედაქალაქში ყველასათვის კარგად ნაცნობ ადგილებში 2008 წლის მარტიდან 2009 წლის თებერვლამდე დროის პერიოდში. პოლიციისათვის შეურაცხყოფისა და დაუმორჩილებლობის ბრალდებით ისინი დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათში ისევ გაათავისუფლეს და ბრალდებებიც მოუხსნეს. აპლიკანტებმა წარმოადგინეს თითოეული დაკავების ვიდეო, რათა დაედასტურებინათ, რომ მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები იყო ცრუ და არასწორი.

სასამართლომ დადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი და მე-11 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა ბატონი ბრეგასათვის 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ბატონი ჰრისტეა-სტანისათვის, ბატონი ლუპუსორუსთვის და ბატონი კოსტიუჩისათვის ცალ-ცალკე 5.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.600 ევროს გადახდა ერთობლივად ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ფერარუ მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი №55792/08*

აპლიკანტი მიჰაი ფერარუ მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს მოლდოვაში. ის ვაჭრობს სხვენის სადრენაჟო სისტემებით. 2008 წლის 29 სექტემბერს განმცხადებელი დააკავეს პოლიციელისათვის შეურაცხყოფის მიყენების ბრალდებით, ხოლო მოგვიანებით კლიენტის მოტყუების ბრალდებაც წაუყენეს. მან ექვსი დამე გაატარა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში პოლიციის გენერალურ დეპარტამენტში გადაყვანამდე, სადაც ის ამყოფეს 2008 წლის 11 ნოემბრამდე, ვიდრე არ გაათავისუფლეს. კონვენციის მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი მიუთითებს, რომ იგი დააკავეს არაგონივრული ეჭვის საფუძველზე, მისი პატიმრობის ხანგრძლივობა სასამართლოს მიერ გაგრძელდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ამას გარდა განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზეც, საპატიმროში არსებული არაადეკვატური პირობების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი არ მიიჩნია დარღვეულად. სახელმწიფოს დაეკისრა 7.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *მიაჟდჟიკი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23592/07*

აპლიკანტი ედმონდ მიაჟდჟიკი საფრანგეთის მოქალაქეა, დაიბადა 1950 წელს და ცხოვრობს პოლონეთში. 2004 წლის ნოემბერში ის დაპატიმრეს და მოათავსეს წინასწარი დაკავების საკანში ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების ხელმძღვანელობის ბრალდებით, რომელიც ეწეოდა თაღლითობას, მანქანების მოპარვას და მოპარული საქონლის გასაღებას. 2005 წლის ნოემბერში იგი გაათავისუფლეს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო აეკრძალა პოლონეთის დატოვება. კონვენციის მე-4 ოქმის II მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ აღნიშნული აკრძალვა გაგრძელდა ხუთი წლისა და ორი თვის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა ოჯახი – სამი შვილის ჩათვლით – მეგობრები და საფრანგეთში არსებული ბიზნესი. სისხლის სამართლის საქმის წარმოება მის წინააღმდეგ პოლონეთში კვლავ მიმდინარეობს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.500 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *კოსტაჩესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №37805/05*

საქმე ეხება რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომელიც აპლიკანტის ვიორიკა კოსტაჩესკუს სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. სასამართლოს მიერ 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი იმის გამო, რომ რუმინეთის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება არ მოხდა. იმ განჩინებაში სასამართლომ არ გამოიყენა კონვენციის 41-ე მუხლი (სამართლიანი დაკმაყოფილება). ამჟამად, წარმოდგენილი განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ რუმინეთმა უნდა გადაიხადოს 6.000 ევრო არამატერიალური ზიანი ასანაზღაურებლად.

- *ტომა რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №1051/06*

აპლიკანტი მიჰაი ტომა რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1948 წელს და ცხოვრობს ტარგუ-ჯიუში (რუმინეთი). კონვენციის მე-7 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი დაობს, რომ მისი მანქანის მართვის მოწმობა გაუქმდა 2004 წელს, თითქმის ათი წლის შემდეგ იმ შემთხვევიდან, რაც იგი გააჩერეს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის დროს და გამოიყენეს ისეთი კანონი, რომელიც მის მიერ დარღვევის ჩადენისას არ არსებობდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-7 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

- *დმიტრიევი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №13418/03*

აპლიკანტი ნიკოლაი დმიტრიევი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს სანქტ-პერებურგში. საქმე ეხება განმცხადებლის საჩივარს იმის თაობაზე, რომ 2001 წლის 8 დეკემბერს იგი სცემა ორმა პოლიციელმა თავის სახლში, რომლებიც გამოძახებულნი იყვნენ განმცხადებლის მეზობლის მიერ იმ ბრალდებით, რომ ბატონმა დმიტრიევმა სცემა ეს უკანასკნელი. იგი იძულების წესით დააკავეს და წაიყვანეს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში, საიდანაც ორი დღის შემდეგ გაათავისუფლეს. 2002 წლის ოქტომბერში ის ბრალდებულად სცნეს საზოგადოებრივ ადგილას ჯგუფური ჩხუბისას თავისი მეზობლის ცემაში. კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2001 წლის 8 დეკემბერს პოლიცია მას სასტიკად მოექცა და მისი საჩივრები უფლებამოსილი სამსახურების მიერ არ იქნა ჯეროვნად განხილული. ამას გარდა, განმცხადებელი ასევე ჩივის მის მიმართ კონვენციის მე-5 მუხლისა და მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე, რადგან პოლიცია მის სახლში უკანონოდ შეიჭრა, შეანგრია მისი ოთახის კარი და ძალით წაიყვანეს ის განყოფილებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი მოპყრობასთან დაკავშირებით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი გამოძიებასთან დაკავშირებით, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი და კონვენციის მე-8 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 100 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *მიტროხინი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №35648/04*

აპლიკანტი ალექსანდრე მიტროხინი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1973 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის სხვადასხვა დანაშაულის გამო, მათ შორის მკვლელობისა და ყაჩაღობის გამო, ალტაის რეგიონში. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ მას ამყოფებდნენ აუტანელ, საშინელ პირობებში წინასწარი პატიმრობისა და საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდში, რომელიც 2001 წლის ოქტომბერში აღიძრა მის წინააღმდეგ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ნეჩტო რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №24893/05*

აპლიკანტი ანდრეი ნეჩტო რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1970 წელს და ამჯამად სასაჯელს იხდის ნერჩინსკში (ჩიტას რეგიონი, რუსეთი). კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-6 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ 2002 წლის ოქტომბერში ყაჩაღობის ბრალდებით იგი დააკავეს და სცემეს პოლიციელებმა, ასევე არ მიეცა საშუალება მის წინააღმდეგ სასამართლო განხილვებისას კითხვები დაესვა პროკურატურის მოწმეებისათვის, არ მიეცა შესაძლებლობა წინასწარი გამოძიების ეტაპზე აეყვანა ადვოკატი და რომ რუსეთის სასამართლოებმა მის საქმეში არსებული მტკიცებულებები სწორად არ შეაფასეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი გამოძიების ნაწილში, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ვალერი სამოილოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №57541/09*

აპლიკანტი ვალერი სამოილოვი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და დაპატიმრებულია რუსეთში. იგი არის მოსკოვის რაიონის გადამდგარი პროკურორი. 2008 წლის მარტში მას ბრალად წაუყენეს დიდი ოდენობით მითვისება და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რაც ჩადენილი იყო ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოს თანამდებობის პირებს. 2008 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს საავადმყოფოში, სადაც მკურნალობდა და მისი შემდგომი პატიმრობის საკითხი განიხილეს სასამართლოში. კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-5 მუხლის I და III ნაწილეზე დაყრდნობით, იგი ჩიოდა არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის თაობაზე, ისევე როგორც მისი დაკავების უკანონობასა და მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გაჭიანურებით განხილვაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *მედენი უგურ თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი 49651/06*

წამოდგენილი საქმე ეხება აპლიკანტის განაცხადს მისი სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვის თაობაზე, რომელსაც ბრალად ედებოდა უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი, მე-6 მუხლი და მე-13 მუხლი.